ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 7 07 2015 წ.

**ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 02-02/238

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, პროცედურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-9 და მე-10 მუხლების, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-9 მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 6 ივლისის №24 ოქმის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2015 - 2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდეს მიღება უნივერსიტეტის სკოლების (ფაკულტეტების) შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა (ფაკულტეტი)		
ა.ა	საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	5 ადგილი
ა.ბ	ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	5 ადგილი
ა.გ	ქართული ლიტერატურის ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	5 ადგილი
ა.დ	თარგმანმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	5 ადგილი
ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლა (ფაკულტეტი)		
ბ.ა	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	5 ადგილი
ბ.ბ	ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	5 ადგილი
გ) ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)		
გ.ა	კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკური მოდელირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	5 ადგილი
გ.ბ	ეკოლოგია და გარემოს დაცვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	5 ადგილი
დ) სოციალურ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)		

	ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა	5 ადგილი

2. 2015- 2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში მიღების ვადები განისაზღვროს შემდეგი წესით:

ა) კანდიდატთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 31აგვისტო – 4 სექტემბერი
ბ) ტესტირება უცხო ენაში 5 სექტემბერი
გ) უცხო ენის ტესტირების შედეგების გამოცხადება, მათი გასაჩივრება 7 სექტემბერი
დ) აპელაციის შედეგების გამოცხადება 8 სექტემბერი
ე) გამოცდა სპეციალობაში 9 სექტემბერი
ვ) გამოცდის შედეგების გამოცხადება, მათი გასაჩივრება 10 სექტემბერი
ზ) აპელაციის შედეგების გამოცხადება 11 სექტემბერი
თ) ადმინისტრაციული რეგისტრაცია და ხელშეკრულების გაფორმება 11 - 12 სექტემბერი
ი) ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა 12-14 სექტემბერი

3. დადგინდეს დოქტორანტობის კანდიდატებისათვის რეგისტრაციისას წარმოსადგენი დოკუმენტების შემდეგი ნუსხა:

ა) განცხადება რექტორის სახელზე (შემოთავაზებული ფორმით)

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, (*2015 წლის კურსდამთავრებულებისათვის დასაშვებია ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე*)

გ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში - აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი

დ) მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ **(CV)**

ე) გამოქვეყნებული შრომების სია შრომების ქსეროასლებით (არსებობის შემთხვევაში)

ვ) უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B_2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო მოწმობის/სერტიფიკატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (წარმოდგენის შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატი თავისუფლდება უცხო ენაში ტესტირებისგან)

ზ) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/დარგის აღიარებული სპეციალისტის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით

თ) პირადობის მოწმობა (პასპორტი) – ასლი

ი) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი მოწმობა (ვაჟებმა) - ასლი

კ) ორი ფოტოსურათი (3×4) ელექტრონული ვერსიითურთ CD დისკზე

ლ) სტუდენტის ანკეტა, შემოთავაზებული ფორმით.

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტარატეგიული განვითარების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს.

4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

5. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ST. ANDREW THE FIRST-CALLED GEORGIAN UNIVERSITY OF THE PATRIARCHATE OF GEORGIA
205233022

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე